

## განმარტებითი ბარათი

„საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის

პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საბაჟო კოდექსის გაერთიანებით და ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მომზადებიდან გამომდინარე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „საქონლის დეკლარირების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით განხორციელდეს ახალი საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების ასახვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საგადასახადო კოდექსში ახლებურად ჩამოყალიბდა კოდექსის თავები, კარები, მუხლები და შესაბამისად ცვლილებას მოითხოვს საბაჟო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი, შესაბამისად შემუშავდა ახალი კანონი „საქონლის დეკლარირების მოსაკრებლების შესახებ“ რომელმაც გააუქმა საბაჟო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გაელენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გაელენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სასულმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ეხება გადასახადის და/ან მოსაკრებლის განაკვეთებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.